

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N015/17<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ პაპოშვილი (სტუდენტი)

### შეკითხვა

წარმოადგენს თუ არა ერთი იურიდიული ფირმის ორი ადვოკატის მიერ ერთი და იგივე საქმეზე მოწინააღმდეგე მხარეთათვის დამოუკიდებელი კონსულტაციის გაწევა, ადვოკატთათვის ამ ინფორმაციის არარსებობის პირობებში, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას და როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი აღნიშნული ინფორმაციის შეტყობის შემდეგ?

### ანალიზი

ერთ იურიდიულ ფირმაში მომუშავე ადვოკატების მიერ ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე მოწინააღმდეგე მხარეთათვის პროფესიული რჩევის მიცემა ან მათი წარმომადგენლობა არის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა (აპეკ, მუხლი 6.3). ერთი ადვოკატის ინტერესთა კონფლიქტის იურიდიულ ბიუროზე გავრცელების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში ერთმანეთის საქმეებზე ხელმისაწვდომის ხარისხი უფრო მაღალია, არსებობს კლიენტ(ებ)ის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ან მათი ინტერესების პრიორიტეტულობის ვალდებულების დარღვევის საფრთხე, რადგან კოლეგები ინაწილებენ ერთი და იმავე ფირმის შემოსავალს; საერთოა მათთვის იურიდიული ბიუროს რეპუტაცია, პრესტიჟი და სამომავლო პერსპექტივები. შეკითხვაში აღწერილი ფაქტები შეესაბამება ინტერესთა კონფლიქტის დარღვევის შემთხვევას. ამგვარი გარემოების არსებობისას ადვოკატები ვალდებული არიან დაუყოვნებლოვ შეწყვიტონ წარმომადგენლობა (აპეკ, მუხლი 6.5). აუცილებელია მოხდეს კლიენტის ინფორმირება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ე)) სასურველია წერილობითი ფორმით. კლიენტს უნდა განემარტოს ინტერესთა კონფლიქტის დარღვევის მიზეზი.

### დასკვნა

ტექნიკური შეცდომის არსებობის გათვალისწინების მიუხედავად, იმ პირობებში, როდესაც სახეზეა აპეკ-ის 6.3-ე მუხლის შემადგენლობა, წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა. ამ ფაქტის დადგენის შემდეგ ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კოდექსის 6.5-ე მუხლის შესაბამისად - შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მას.

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/5c7fc63d8513d.pdf/15%20June%202017%20015.17.pdf>